შაბათი, 14 თებერვალი 1904 წ.

1877 წელიწადი ოც-დამეხვე 1904

შაბათი, 14 თებერვალი 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 38 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 38

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

## რედაქციისაგან

მსურველთ შეუძლიანთ ყოველ-დღე წაიღონ გასასყიდად „ივერიის“ მიერ ნათარგმნი და ცალკე ფურცლებად დაბეჭდილი დეპეშები იმავე დღისა ხელმისაცემის პირობით.

გამოვიდა ¢ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაჭი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

## 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

გამოდის იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი ლპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათუმში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბურთალოში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში**:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: **Тифлисъ, Редакція „Иверія“.**

### როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

მატივას ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მოიმცელიძე.**

ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** . . . . . | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხა** . . . . . | 2.664.808 მან. |

### დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

**დაზღვევას** კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის **№ 10.**

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განთვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—12)

### ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.

„ივერიის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ „ივერიაში“ ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ, - დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 მან.).

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უღიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ორშაბათს, 16 თებერვალს 1904 წ.**

საიმპერატორო ოპერის არტისტის ა. მ. დავიდოვისა, ე. ვ. სტეფანოვიჩისა და ვ. მ. ტურჩანინოვას მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

## კარმენ

ოპერა 4 მოქ. მუს. ბიზესი,

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: სტეფანოვიჩისა, ტურჩანოვისა, ლელინასი, ფედოროვისა; ბ-ნნი: დავიდოვი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, შმაკოვი, ფედოროვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი.

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

**იყიდება** რამდენიმე ნაჭერი მიწისა საუფლისწულო სარდაფის იქით და იმ ადგილის პირდაპირ, სადაც სათავად-აზნაურო სკოლის სახლი შენდება. პირობების გაგება შეიძლება ოლგის ქუჩაზე, სახლი № 14. (2—38—1)

### წითელის ჯვრის სასარგებლოდ

სომხურ ჟურნალების „ალბიურ“-ისა და „ტარაზ“-ის რედაქციის მიერ (ოლგას ქუჩა, 33, სამხედრო ოლქის სასამართლოსა და ოლგას საბებიო ინსტიტუტის პირდაპირ) დაიწყება გამოფენა სახელოვნობო ნაწარმოებთა ოთხშაბათიდგან 11 თებერვლიდან 18 თებერვლამდე, ყოველ დღე 12 საათიდგან 5 საათამდე.

ფასი შესვლისა 20 კაპ. სულ წითელის ჯვრის სასარგებლოდ გადაიდება, სახელოვნობო ნაწარმოების ფასიდგან 25% გადაიდება წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

გამოფენაზე მიმსვლელთა გვარები დაბეჭდილი იქმნება „ტარაზ“-ში. (5—უ—3)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

## ექიმი

## ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

## კერძო სამკურნალო

### ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**მ. ი. ჯიჯინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მოჩინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აფეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

ტფილისი, 14 თებერვალი.

სოლომონ ბრძენმა სთქვა: ყველაფერი მეორდებაო, და ლამის მისი სიტყვები რამდენისამე ათასის წლის შემდეგ აზიის ისტორიაზე გამართლდეს.

უხსოვარი დროა მას უკან, რაც ამ კაცობრიობის და ცივილიზაციის აკვანმა ბაბილონის და ასსირის კულტურა, ფინიკიელთა და საბერძნეთის შემწეობით, ევროპას გარდასცა, თვისი დროშა და დიდება ახალ ერს უანდერძა და თვით-კი, თითქო დაღლილმა ომებით და ცხოვრებით, საუკუნოებით თავი მოსვენებას მისცა.

ჩაესვენა მისი მზე და იგი შემდეგში უფრო ბრწყინვალედ ევროპის ჰორიზონტზე ამოცურდა. ისტორიის მამათ მთავარი აზია ახალს ხანაში აღარასფერს წარმოადგენდა და თითქოს სრულიად მივიწყებული შეიქმნა. მისი ალაგი ევროპამ დაიჭირა, რომელსაც შემდეგ გვერდში ახალი ქვეყანა—ამერიკა ამოუდგა და ამგვარად ისევე განაგრძო კაცობრიობამ განვითარების გზა.

ის, რაც ვერ შესძლო აზიამ და მისმა ისტორიამ, ევროპამ შეჰქმნა და განავითარა. ომების და ცარცვა-გლეჯის მაგიერ მან მშვიდი, მოქალაქეობრივი ცხოვრება დაამყარა. თუ აზიის ერნი სხვის დარბევით სცდილობდნენ გამდიდრებას, ევროპამ ეს უარჰყო, მან თვის ძალითვე მოინდომა თავის კეთილ-დღეობის შექმნა და წარმატება. აზიის ციხე-სიმაგრეების მაგიერ ევროპამ ფაბრიკა ქარხნები დააარსა და გაამრავლა. მშვიდობიანმა ცხოვრებამ ხელი შეუწყო მისს განვითარებას და ყოველ მხრივ აღყვავებას. ნამეტნავად გაიზარდა ბოლო ხანში მისი ეკონომიური ძალა და მისის მანქანებით დამუშავებული საქონელი, შინ რომ ვეღარ იპოვა ბაზარი, გარედ გამოვიდა. შინ კონკურენციით შევიწროვებული ევროპიელი ვაჭარი აფრიკასა და აზიაში გაემგზავრა და ამგვარად აზიის დიდის ხნის წარსული პოლიტიკური ბრძოლა ეკონომიურმა შესცვალა. თუ აზიის მბრძანებლები მორჩილებას თხოულობდნენ და ტერრიტორიის გაფართოებას სცდილობდნენ, ევროპა დღეს ბაზარს ეძებს და სავაჭრო ჰკრეფავს ხარკს.

აზიამაც იხილა თავისი ატილლა. მრისხანე ჩინგის ყაენის სამშობლოს ევროპის ნაწარმოები იკლებს და იქ, სადაც ძველად ხმალი მბრძანებლობდა, დღეს ფული და ოქრო ბატონი. ევროპის ვაჭრობამ ძველ ქვეყნისკენ გადმოსძლია; ატლანტიის მემკვიდრეობას დიდ ოკეანეს უწინასწარმეტყველებდნენ. ეს ასეც უნდა იყოს. ამერიკა ახლოა აზიაზე, ვიდრე ევროპაზე. დიდი ჩინეთი და აზიის დანარჩენი ქვეყნები ევროპის ნაწარმოებისთვის ფართო ბაზარია. მათი მნიშვნელობა, რაც დრო გადის, უფრო იზრდება და მატულობს. რას მოასწავებს კი აზიაში ევროპიელთა ეს მშვიდი შემოსევა—ძნელი სათქმელი არ არის. ორივ მხრივ (დასავლეთით ევროპა-

პა და აღმოსავლეთით ამერიკა) მტრის მოდგმამ მძინარე აზიას ძალაუნებურად გამოაღვიძებს. ეს ქვეყნები თავის სავაჭროსთან ერთად ცივილიზაცია და კულტურასაც შეიტანენ და ამგვარად, აზია ერთი-ათად მიიღებს იმ სამკვიდროს, რომელიც მან ევროპას დაუტოვა. რომ აზია განახლდება დ ევროპას თან გაჰყვება, ამის დამტკიცება კაცობრიობის ისტორიაშიაც რომ არ ვეძიოთ, მაგალითიც წინ გვაქვს: იაპონია მოკლე ხანში გაევროპიელდა და თვის მასწავლებელს ეკონომიურადაც-კი ეცილება; ევროპასთან შეჯახებამ უმოძრაო ჩინეთიც-კი შეანძრია და თავის კულტურით მოამაყეს დღეს მისდამი უკმაყოფილებაც-კი აღუძრა. გაველურებულ სპარსეთს მალე თავს დასჭყივლებს ორთქლიის მზიდავი და მოუსვენარს ძილს დაუფრთხობს. დასავლეთ აზიის ბედი მომაკვდავ ხონთქრის ხელშია და სათათათის გამოღვიძებით იგიც გამოიღვიძებს. ინდოეთი ხომ კარგა ხანია ევროპის კულტურით ეზიარა და იმედია როდისმე საპირო თავისუფლებას მოიპოვებს. თიბეთში ინგლისის დღევანდელი ექსპედიცია ამ საიდუმლო მხარეს, და მონგოლიას კიდევ რკინის გზა, რომელმაც პეკინი და ციმბირის ლიანდაგი უნდა შეაერთოს, უეჭველია მომავალში ევროპის ბაზრად გარდააქცევს. ეკონომიურადაც დაუმუშავებელი ციმბირიც თავისს მომავალს ელის... ამგვარად, ჩვენ თვალ-წინ სწარმოებს აზიის სიცოცხლისკენ გამობრუნება. ძველმა გმირმა თითქოს დაისვენა, ძალა მოიკრიბა და სურს დიდების დროშა ისევე აათრიალოს. ევროპის მიერ მოხვეჭილი ცოდნა და გამოცდილება წინსვლას გაუადვილებს და მომავალში, უეჭველიაი, გიც ჩინგის ყაენების მაგიერ თავის დარვინს, მარქსს, ენგელსს და ედისონს წარმოშობს...

---

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

იაპონიის ნაღმიანი ყუმბარები.—ინგლისის დიპლომატის აზრი კორეის შესახებ.—იტალიის ადმირალის რჩევა.—საფოსტო გემის დაპატიმრება.—იაპონიის ახალი გემები.—ამერიკის წაქეზება.—«ნოვოსტის» დეპეშები.—«კავკაზის“ დეპეშები.

„დეილი მაილი“ იუწყება, იაპონიის ელჩი ლონდონში უარჰყოფს იმ ამბავს, ვითომც პორტ-არტურში რუსეთის გემების მეზღვაურნი მოშხამულ ჰაერმა დახოცა, იაპონელების ნაღმიანი ყუმბარები რომ გამსკდარაო. ყუმბარები ინგლისში არის გაკეთებული და ასაფეთქებელი მასალა ისეთივეა, როგორც საერთოდ ევროპაში იხმარებაო.

შემდეგ-კი იაპონელები აპირებენ დიდრონი ყუმბარები ახალ ასაფეთქებელ წამლით გასტენონ, რომელიც თვით იაპონელებმა გამოიგონესო. („ჩ. ვ.“).

—

ინგლისის მწერალი-დიპლომატი, რომელიც სწერს «კალხას»-ის ფსევდონიმით, დაწვრილებით ეხება შორეულ აღმოსავლეთის საქმეთა ვითარებას ომის დაწყებამდე. რუსეთ-იაპონიის უთანხმოების მიზეზად ავტორს კორეა მიაჩნია.

«იაპონიამ აუცილებლად უნდა დაიპყროს კორეა, მეტი გზა არა აქვსო,—ამბობს კალხასი,—კორეა მისთვის სიკვდილ-სიცოცხლეა. მართალია რუსეთისთვისაც კორეას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისე არა, როგორც იაპონიისათვის. რუსეთმა რომ კორეა დაიპყროს, მაშინ იაპონიასაც და მთლად ყვითელ ზღვასაც ელთ იგდებს. კორეა რომ რუსეთმა იაპონიას დაუთმოს, მაშინ სრულიად ხელი უნდა აიღოს ვლადივოსტოკსა და პორტ-არტურზე, რუსეთის ადგილას ყოველი სახელმწიფო ეცდებოდა კორეის დასაკუთრებას, თუ რომ დიდი დამაბრკოლებელი რამ არა გადაეღობებოდა რა წინ. («პ.ვ.»).

—

იტალიის ადმირალი ბონამბიკო, რომლის წინასწარმეტყველება იაპონელთა ფლოტის პირველ ნაბიჯისა და ომის გეგმის შესახებ უკვე აღსრულდა და ეხლაც ზედმიწევნით სრულდება, შემდეგ რჩევას აძლევს რუსეთს, რომ ამ ომში გაიმარჯვოს:

პირველი. მდინარე იალუს ნაპირი უნდა გამაგრდეს და უკანა ჯართან კავშირი არ შესწყდეს.

მეორე. თუ რომ უკან დახევა დასჭირდა, ერთბაშად-კი არ უნდა დაიწიოს, არამედ მტერს უნდა თავს ესხმოდეს და მოსვენებას არ აძლევდეს.

მესამე. მუკდენსა ანუ გირინსა და ხაბრინში მუდამ საკმაო ჯარი უნდა ჰყავდეს, რომ ვლადივოსტოკისა და ციმბირის რკინის გზას იცავდეს.

მეოთხე. აღმოსავლეთ-ციმბირში შეჰყაროს დიდძალი ჯარი, შეამზადოს და ყოველ ჟამს მზადა ჰყავდეს წინ წასასვლელად.

მეხუთე. ხუთი დიდი ჯავშნიანი გემი საჩქაროდ დაამზადოს და თავისი ფლოტი, სხვა-და-სხვა ადგილს გაფანტული, ვლადივოსტოკის ესკადრითურთ, ხმელთა-შუაზღვაზე შეაგროვოს.

მეექვსე. შეამზადოს სათადარიგო ფლოტი, რომელიც უმთავრესს ფლოტს თან უნდა ახლდეს, რომ სურსათი, ქვა-ნახშირი და რაც რამ საჭიროა უზიდოს.

ეს შეერთებული ფლოტი ერთბაშად უნდა გაემგზავროს შორეულ-აღმოსავლეთში და იაპონიის ზღვა დაიჭიროს.

დიდს რუსეთს არც გემები აკლია და არც ხალხი, რომ შემდეგ ზამთარს სულ სხვანაირად მოამართოს ომის საქმე და გამარჯვებულიც გამოვიდეს.

საჭიროა მხოლოდ, ეხლავე შეუდგეს ყოველ ზემოდ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას.

—

**პორტ-არტური**, 7 თებერვალი. საფოსტო გემი „შილკა“, რომლის კაპიტანიც კოსტიურინია, ვლადივოსტოკიდგან გასულა 21 იანვარს. კუნძულ ცუსიმასთან რომ მისულა, ორი იაპონიის კრეისერი და ორი ნაღმიანი გემი უნახავს, რომლებიც ზღვას ანათებდნენ სამხედრო ფანრებით. შემდეგ გზაში ხშირად ხვდებოდნენ ნაღმიანი გემები. 24 იანვარს დილით ადრე «შილკა» საკარანტინოსთან გაჩერებულა ნაგასაკში. მალე სამხედრო გემი მისულა შეიარაღებულ მეზღვაურებით, აფიცერს გამოუცხადებია, გემი დაპატიმრებულიაო და ნაგასაკის ნავთ-სადგურში შეუყვანია, სადაც იდგა დაპატიმრებული «მანჯურია» და ერთიც ნორვეგიის გემი. როდესაც ფოსტას სინჯავდა იაპონიის აფიცერი, კოსტიურინმა როგორღაც დამალა წერილები მიჩმან გრევესა და «მანჯურიის» კაპიტნის სახელზე. იაპონელი აფიცერი თხოულობდა—ოფიციალური და საიდუმლო წერილები მაჩვენეთო, მაგრამ ვერა მიიღო-რა. კოსტიურინმა მოითხოვა, შემატყობინეთ მიზეზი გემის დაპატიმრებისაო, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო,—ეს ჯერ საიდუმლოაო. იაპონელი მგზავრები გადაიყვანეს ნაპირზე და ჩინელებიც უნდა გადაესხათ, რომლებიც ჩიფუს მიდიოდნენ, მაგრამ კოსტიურინი მაგრა დაუდგა. ამასთანავე სიმტკიცემ იხსნა იგი დაპატიმრებისაგან იაპონელ მეზღვაურებმა უზრდელობა გამოიჩინეს, ქალთა სალონში მოიკალათეს და თამბაქოს წევა დაიწყეს. თავის აფიცერს არაფრად აგდებდნენ და დისციპლინას არღვევდნენ. მაშინ კაპიტანმა კოსტიურინმა ხმა აიმაღლა და მოურიდებელი მეზღვაურები გარედ გარეკა. იაპონიის აფიცრებმა რამდენჯერმე ბოდიში მოიხადეს.

—

იაპონიას ომის დაწყებამდე საჩქაროდ შეუკვეთნია ორი ახალი უდიდესი კრეისერი, ერთი ვიკერისის ფირმისათვის ბარროუში და ერთიც ამსტრონგის ქარხანისათვის ელსფიკში. ორივე კრეისერი სწრაფად მზადდება. («პ. ვ.»)

—

პარიჟის გაზეთი «ჟურნალ»-ი ამერიკასა სდებს ბრალს, რომ ომი გააბედვინა და გაუადვილა, რადგან მისცა ყოველივე, რაც საომრად საჭიროა, და აიმედოვნებს კიდევ, ფულითაც დაგეხმარებითო.

ეხლა ამერიკამ სხვა დახმარება აღმოუჩინა კიდევ: ყველა ხახელმწიფოება დაითანხმა, რომ ჩინეთი ხელუხლებლად უნდა დარჩეს და მისი დანაწილება არავის შეეძლოსო. თუმცა ამ პროექტს კეთილ განზრახულობის ნიშანი აქვს, მაგრამ აზრი სულ სხვა აქვს—რუსეთი განცალკევდეს და იაპონიამ მანჯურიაში ფეხი შესდგას. რუსეთის მტრებს შეუძლიანთ ამ ტაქტიკას დაადგნენ, ხოლო მეგობრებმა უნდა განაცხადონ, რომ მიუხვდნენ ეშმაკობას და იციან მუცლის ტკივილის მიზეზი. («პ. ვ.»)

—

ინგლისი თავის ჯარს აგროვებს და ფლოტის მეზღვაურთ თავს უყრის. ბრძანება უკვე გაცემულია, რომ ყველა გემები საომრად მზად იყვნენ და ყოველ ჟამს შეეძლოთ გამგზავრება. დროებით დათხოვნილი აფიცრები და სათადარიგო ჯარის კაცნი დაბარებულნი არიან. თოფხანებსა და ნავთსადგურებში გაცხარებული მუშაობაა.

გაზეთ «ნოვოსტ»-ის დეპეშები.

**პორტ-არტური**, 7 თებერვალი. მდინარე იალუზე რუსებსა და იაპონელებს შეტაკება მოუხდათ. თუმცა მტერი მრავლად იყო, მაგრამ მაინც უკან გაბრუნდა

**ჰონგ-კონგი**. «მორგენ პოსტ»-ი ამბობს, რომ კანტონის უფროს მოხელეთა შორის გავრცელდა ხმა, ვითომც ჩინეთის ქვრივი დედოფალი გარდაიცვალაო.

**ლონდონი**. «სტანდარდტ»-ი ამბობს, რომ უცხოელთა გაზეთების სამხედრო კორესპონდენტები ჯერ ისევ ტოკიოში არიან, რადგან ნება არ მისცეს ჯარს გაჰყოლოდნენ კორეაში.

იაპონიის სატახტო ქალაქის ერთს დიდ ბალში მეჯლისსა მართავენ ინგლისის მეზღვაურთა პატივსაცემლად, რომელთაც გენუიდგან მიაცილეს იაპონიამდის კრეისერები «კასსუგა» და «ნისსინი».

«დეილი ქრონიკლ»-ი იუწყება, კორეის ქალაქის ვიჯუს გუბერნატორის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ 3,000 რუსის ჯარი 14 ზარბაზნით მდინარე იალუს მარცხნივ მხარეს გადასულაო.

„დეილი მაილ“-ს ატყობინებენ—1,500 რუსის ყაზახი კორეის საზღვარს გადასულა ვიჯუსთან; რუსების მოწინავე ჯარი-კი ანჟუსთან მისულა.

სხვა გაზეთებიც იუწყებიან რუსეთის ჯარის წინმსვლელობის შესახებ და, «ექსპრესს»-ის სიტყვით, რუსებს სეულზე გაულაშქრნია

«ლოკალ ანზეიგერ»-ი ირწმუნება, ვითომც ტოკიოში ხალხი გერმანიას ძალიან ემდურება, გაზეთები უკადრისად იხსენიებს და გერმანელებს ქურდებს უწოდებსო. იოკოჰამაში ხალხი გერმანელების ცოლშვილს ამოწყვეტას უპირობდა.

«ნეიე ფრეიე პრესსე» ამბობს, იაპონიის მიერ განზრახული მსწრაფლ-მავალი ტურბინიანი გემები, რომლებსაც ჰაეროსტატები უნდა მიაბან, ჰკუაში მოსასვლელი არისო.

—

გაზეთ «კავკაზის» დეპეშები.

**პეტერბურგი**, 12 თებერვალი. იაპონიის ელჩმა სეულში, როგორც გაზეთები იუწყებიან, კორეის იმპერატორი ტახტიდგან გადაყენებულად გამოაცხადა და კორეა იაპონიას შეუერთა.

ორს ახალ კრეისერს, ჩინეთისათვის ინგლისში გაკეთებულს, კიანგინიდგან მდინარე იანცეს შესართავში მოელიან.

ამერიკის კრეისერი «ნიუ-ორლეანი» და კანონერკა «ველინგტონ»-ი მდინარე იალუს შესართავში დაცურავენ.

5,000 ჩინეთის მხედარნი შანჰაი-გუანიდგან ჩრდილოეთისკენ წავიდნენ.

სარწმუნოდ ამბობენ, რომ სურსათი და სხვა საჭირო ნივთები პორტ-არტურში იმდენია დამზადებული, რომ ორს წელიწადს კმარაო.

პხიენიანში შიშიანობაა. უცხოელთა მაღაზიები დახურულია.

---

# ფელეტონი

## თვალდამწვრიშვილები

(ვუძღვნი თავ. დ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილს).

გრემში ვართ, კახეთის სატახტო ქალაქში.

მეფის დიდი ბაღია. ვარდ-ყვავილები ათასფრად გადაშლილა. კვიპაროზისა და ალვის ხეები ამშვენებს არე-მარეს. ბაღის პირს ვრცელი ეზოა, შუაში სასახლე, აუზებითა და შადრევნებით შემკული,

— შვილო, მომაწოდე შვილდ-ისარი, ეუბნება ხის ქვეშ გულაღმა მწოლარე თავის მხლებელს,—ხეზედ რაღაცა აფახუნებს.

— ინებეთ, ბატონიშვილო, თუმცა, არ ვიცი, შვილდ-ისარს როგორ გამოიყენებთ, როდესაც თვალში სინათლე აღარა გაქვთ.

ბატონიშვილი მისდამი მიწვდილს შვილდს იღებს, ისარს ჰმართავს, უმიზნებს ფრთხილად, სტყორცნის, და ძირს ვარდება აქამდის თავისუფლად მონავარდე არსება, პატარა ჩიტი.

ვინ იყო ბატონიშვილი?

იგი იყო კახეთის მეფის ავ-გიორგის ძმა დიმიტრი.

დიმიტრი უფროსი ძმა იყო, გიორგი უმრწემესი, მამა მათი ალექსანდრე იყო კეთილი, მშვიდი, წყნარი, გამრჯელი, ქვეყნის მაშენებელი. მამას სათნოებით ჰგვანდა დიმიტრი, ნაშობი ათაბაგის ქალისაგან, სიბოროტით აღსავსე იყო გიორგი, ნაშობი ჩერქეზის ქალისაგან. გიორგის ჰშურდა, რომ არ მეფობს თვითონ, არამედ მისი მამა, და რომ საელჩო საქმეებს ავალებენ ჩემს ძმას და არა თვითონ მეო. ბოროტი აზრი დაებადა გიორგის.

1511 წელს საფურცლეს იდგნენ. უგრძნეულად მიეპარა გიორგი მამას ალექსანდრეს და ლალტით მოჰკლა.

დიმიტრიმ, რადგან იცოდა, ჩემი ძმა დიდების მოყვარეაო, მეფობა მას გადულოცა, შეჰრთო ცოლი, გამეფდა, უთხრა: «ერთს ქვეყანაში ორი ხელმწიფე ვერ იქმნებისო, საჩემო მამული მომეც და შენ მშვიდობით იმეფეო». გიორგის იამა, კახეთის მეხუთედამდე მისცა და სამეფო გვირგვინი-კი თვითონ დაიდგა.

გავიდა მცირე ხანი. შეუჩნდნენ გიორგის ჩოლაყაშვილები და შეასმინეს: «კახნი შენს ძმას ემსახურებიან და არა შენ, არ ვიცით, რა სწადიანთო, სჯობს, თვალები დასწვაო». გიორგი ჯერ არ დაეთანხმა: —«გამზარდა, დამაქორწილა, უფროსი იყო და ხელმწიფობა მე დამითმოო».

არ მოეშვნენ, ვიდრე ძმას ძმის თვალები არ ამოაწვევინეს.

თვალდამწვარი დიდს მწუხარებაში ჩავარდა, მაგრამ მაინც უდრტვინველად სცხოვრობდა. იმდენი სინათლე კიდევ შერჩენოდა თვალში, რომ აქეთ-იქით გავლა, კარ-მიდამოს და ბაღის მოვლა მაინც შეეძლო.

ჩიტი ისრით რომ ჩამოაგდო, კვლავ შეუჩნდნენ აქს მეფეს ავი კაცები: ძმას თვალში სინათლე შერჩენია, გიჯობს დააბრმაოო. იმანაც ექიმს უბრძანა; ისეწამალი დაადე, რომ სინათლე მთლად დაეკარგოსო. მკურნალმა ბრძანება აასრულა.

უბედური დიმიტრი თავის ორის შვილით, დავითითა და რამაზით, გაქცეულა ქართლს და იქიდგან სპარსეთს. შაჰთამაზს (1523—1576) მეტად მოსწონებია თვალდამწვრის ერთი ვაჟი. ერთი ძრიელი მოჭიდავე ჰყოლია დ უთქვამს თვალდამწვრისთვის: თუ შენი ვაჟი ამ ჩემს ფალავანს დასძლევს, კახეთს მივცემო. კარგიო, ოღონდ ცხენი მოართვით ჩემს შვილსაო,—მოუხსენებია თვალდამწვარს.

ყაენს ორთავე მორკინალნი ცხენებზე შეუსვამს და ასპარეზზე გამოუშვია. დიდძალი ხალხი შეკრებილა სეირის საცქერლად. ყაენს თავის ფალავნისთვის უთქვამს, თუ ჩამოაგდო, თავს მოგკვეთ, თუ ჩამოაგდე, არა დაუშავო-რაო. თვალდამწვარსაც გაუმხნევებია თავისი შვილი: მარჯვედ მოიხმარე ფარი და შუბიო.

თვალდამწვრიშვილს გაუმარჯვნია, მოპირდაპირე ჩამოუგდია. ყაენს შეუქია გამარჯვებული, მისი ფარი ფლურით გაუვსია, კახეთი უბოძებია და გამოუსტუმრებია ამ სიტყვით: «სინამდისინ კახეთს დაიჭერ, ქართლს იყავიო».

თვალდამწვარი წამოსულა ქართლს, ერთის შვილისთვის შეურთავს ციციშვილის ქალი, მეორესთვის—ფალავანდიშვილისა. აქ უყიდნია დირბი, ბრეთი და ბებნისი, თავადების დახმარებით დირბს აუგია მაგარი ციხე და მასში დასახლებულან თვალდამწვარი და მისი შვილები, დავითი და რამაზი.

ეს ამბავი რომ შეუტყვია კახეთის მეფეს, უფიქრია: ისინი ქართლს არიან, კახეთს წამართმევენო. ქართლის მეფის ლუარსაბისთვის გამოუგზავნია ბევრი საჩუქრები, აბრეშუმი და შემოჰხვეწნია, ყოველს ახალს წელს ამდენ საპალნეს აბრეშუმს და სხვა საჩუქრებს მოგართმევ, ოღონდ დავითს მანდ ნუ აბოგინებ, ციხე დაუქციე და მისი მამული მის ძმას რამაზს მიეციო.

დავითი იმერეთს წასულა და იქაურ მეფის დახმარებით უყიდნია ზემო-ქართლში სოფლები: ნული, თორმანეული, ღვერთეთი, ფლევი, ქანბადი, ცხეთასჯვარი და მიუციათ მისთვის მოხის-რუისის გლეხები, აზნაურები ხერხეულიძენი და ტატიშვილები.

რამაზს შეურთავს იმერეთის მეფის და, რომელსაც მოუტანია კაი მზითევი და აგრეთვე რგებია მამული სამცხეში. ამ ქალისაგან რამაზს მისცემია კოსტანტინე და ელიზბარ სიაოშ, გრიგოლი, დავით და შავშეთის ბატონის ქალისაგან-კი გასჩენია გიორგი.

ეს გიორგი უფროსს ძმებს ბერად შეუყენებიათ და მოუშორებიათ მის დედითურთ.

გასულა რამდენიმე ხანი. ბერი გიორგი წასულა შავშეთს და დედისათვის გამოუცხადებია. «დედა, ბერობა არ შემიძლიანო». ამის გამო დედა შემოსწყრომია. ბერი გიორგი პისულა მამიდისას. მისს ბიძაშვილს მეტად ლამაზი ცოლი ჰყოლია; ამ ქალს შეჰყვარებია ბერი გიორგი და უთქვამს: შენისთანა კოხტა კაცი რად უნდა იყოს ბერად, მამაჩემმა მრავალი სოფლები და სარჩო-საბადებელი დამიტოვა და ჩემი ქმარი რომ იყო, ყველა ეს გეკმარისო, თუნდა ასი ყმაც შეინახოო. ამ ქალის ქმარი ამ დროს ავად ყოფილა და მალე გარდაცვლილა. ბერი გიორგი გაპარულა, ხსენებული ქალი შეურთავს და მისს ქონებას დაჰპატრონებია; ძმებისაგან უნუგეშოდ დაგდებული შეჰქმნილა მორჭმული და გავლენიანი კაცი.

თვალდამწვრიშვილები შემდეგ იწოდნენ დავითიშვილებად და რამაზიშვილებად, ანუ ბაგრატიონ-დავითიშვილად. 1666 წელს ამათგან რუსეთში გადასახლდნენ ხოხონა და მისი ძმა ელიზბარი და მათს ნაშენობას იქ დაერქვა დავითიშვილი («დავიდოვი»). წინაპარი დავიდოვებისა (ბაგრატიონ-დავითიშვილებისა და კახეთის მეფეებისა) იყო დავითი, ძე ალექსანდრესი, რომელმაც გაჰყო საქართველო.

მეფობდნენ: დავით († 1471 წ.), გიორგი († 1492), ალექსანდრე († 1511), ავ-გიორგი († 1513), ლევან († 1574), ალექსანდრე, დავით, კონსტანტინე, თეიმურაზ I († 1605—1673), დავით, ერეკლე I († 1710), თეიმურაზ II, ერეკლე II, გიორგი XII.

თვალ-დამწვრიშვილები (ბაგრატიონ-დავითიშვილები, დავიდოვები): დიმიტრი, რომელსაც ძმამ ავ-გიორგიმ თვალი დასწვა, ძე მისი დავით, ძე ამისი რომან (რამაზ, რამინ), ძენი მისნი კონსტანტინე, ელიზბარ, დავით; კონსტანტინეს ძე რომან, რომანის შვილები ქაიხოსრო, ხოხონა (რუსეთს გადასახლდა 1666 წ. თავის ძმა ელიზბართან ერთად), ელიზბარ (ანნა ჩოლაყაშვილის მეუღლე), კონსტანტინე, შიოშ, თეიმურაზ, დავით. ხოხონას შვილები პანკრატი (მისი ქალი ალექსანდრა მისთხოვდა კუდრიავცოვს), ერემეი, რომან, არსენი, გავრილო, პოტაპ (ქმარი აგრაფინა ლვოვის ასულისა), გრიგორი, ივანე, ავდოთია; ელიზბარის შვილები: ათანასე, თეოდორე (ქმარი ავდოტი-კაროვისა და მამა მარიამისა, სვიმონ ვიაზემსკის ცოლისა), მარიამი (საპატარძლო მეფის თეოდორე ალექსეევიჩისა), გლიკერია (ცოლი ალექსანდრე არჩილის ძისა), ანნა (ცოლი ზურაბ ხერხეულიძისა), მიხეილ (ქმარი კატერინა Chèkhvildzeva-სი, რომლისგან იშვნენ: ელისაბედი (მეუღლე თავადის დიმიტრი პავლეს-ძის ციციშვილისა, მამისა ცნობილის საქართველოს მმართველის პავლე ციციშვილისა († 1806 წ. ბაქოს), სიმონი, მიხაილო (მეუღლე ნატალია ჯავახიშვილისა), ივანე (ქმარი ელისაბედ ბრისკორნისა და შემდეგ ქსენია კულომზინისა)...

—

ყოველგან იძიებენ და იკვლევენ სახელ-განთქმულ გვარეულობათა ისტორიას, რადგან ეს ისტორია ერთი ფურცელთაგანია თვით ერის ისტორიისა. მხოლოდ ჩვენში მეტ ბარგად მიაჩნიათ,—არა ყველას, რასაკვირველია,—არათუ გვარეულობათა ისტორია, არამედ მთელის ჩვენის გვარ-მოდგმისაც. საკვირველი ის არის, რომ თვით დღევანდელი წარმომადგენლები სახელოვან გვარეულობათა, მაგალ., ორბელიანებისა, ერისთავებისა, წერეთლებისა, მელიქიშვილთა, მაჩაბლებისა, ჯაყელთა, დადიანთა და სხვ., არავითარ ხალისს რა იჩენენ არა თუ შეადგინონ წერილობითი ისტორია თავიანთ მამა-პაპათა, არამედ მოკლედ მაინც შეისწავლონ მათი თავგადასავალი, მათი სრქ'ანუ, უცხოურადრომ ვსთქვათ, «როლი» ჩვენს ისტორიაში.

ერთ ამგვარ დიდებულ გვარად ითვლებიან ბაგრატიონ-დავითიშვილებიც, პირდაპირნი წარმომადგენელნი და მემკვიდრენი ერეკლე და გიორგი მეფეებისა. ამათი ამბავი, რაც კი ჩვენ ვიცით, საკმაოდ არეულია და ბინდ-ბუნდით მოცული. საჭიროა ახალი მასალები, რომ ამ არეულ დარეულობას ნათელი მოეფინოს. ამგვარ წყაროებად კი ჩაითვლება სიგელ-გუჯარნი, ძველი ნივთებისა და ტაძარ-კოშკების წარწერები და მინაწერები, აგრეთვე საგვარეულო ზეპირ-გადმოცემა. რამდენადაც ჩვენ შემოგვესმა, ამისთანა მასალა არ ჰკლებიათ ბაგრატიონ-დავითიშვილებს და, იმედია, გამოაქვეყნებენ.

მ. ჯანაშვილი

## ტფილისი

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი დეპეშა გაუგზავნა, რომლის პასუხადაც შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. კ. პლევესაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: «ტფილისის თავად-აზნაურთა უქვეშევრდომ ლესის დეპეშის მოსმენის გამო, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება:

«მადლობა გამოეცხადოს თავად-აზნაურობას გამოთქმულ გრძნობათათვის».

◆ ფრიად კეთილი აზრი მოსვლიათ მოსკოვში მცხოვრებ ქართველობას,— განუზრახავთ ამ დიდ-მარხვაში მოსკოვში წარმოადგინონ ქართულად თავ. ა. სუმბათაშვილის სახელ-განთქმული დრამა «ღალატი». რეჟისორად, როგორც გავიგეთ, თვით ა. სუმბათაშვილი იქმნება.

◆ გუშინ-წინ, 12 თებერვალს, საქართველოს ეგზარხოსმა, მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ ალექსიმ, იდღესასწაულა თავის სახელწოდების დღე. ამ დღეს შესრულდა დიდ-მარხვის წირვა და პარაკლისი გადაიხადა.

◆ საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში მოსამსახურეთ გადასწყვიტეს, ყოველ თვე თავიანთი ჯამაგირიდგან 2⁰/₀ გადიხდონ რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის, ვიდრე ომიანობა გათავდებოდეს შორეულ-აღმოსავლეთში.

◆ 6 თებერვალს დაბა საჩხერის ერთკლასიან სამინისტრო სკოლის დარბაზში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რათა უფალმან გამარჯვება მიანიჭოს რუსეთის მხედრობას. პარაკლისის შემდეგ ამავე სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ჩხეიძემ აუხსნა მოსწავლეთ რუსეთ-იაპონიის ომის მნიშვნელობა.

✱ გუშინწინ, 12 თებერვალს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ჰქონდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომელსაც ხარჯთ-აღრიცხვა უნდა შეედგინა საზოგადოებისა და ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლისა. კრებამ ამ დღეს მხოლოდ საბაღოსნო სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვა მოასწრო. საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად საბჭოს მომავალ ხუთშაბათს ექნება კრება.

✱ როგორც გავიგეთ, ამ დღეებში სცენის მოყვარულნი «ღალატი»-ს წარმოდგენას აპირებენ მურაშკოს თეატრში.

✱ 16 თებერვალს ქართულ თეატრში დანიშნულია რუსული კონცერტი. კონცერტს ჰმართავს ქ-ნი სლავიანსკისა.

✱ ქალაქის გამგეობას, როგორც ვაუწყებთ მკითხველთ, აზრად აქვს სადრესო სტოლი თითონ ჩაიბაროს და აწარმოოს. ქალაქის გამგეობა ამას წინად შეეკითხა ტფილისის პოლიცმეისტერს—სადრესო სტოლის მართვა-გამგეობა რა ჯდება წლიურად, ან რა შემოსავალი აქვსო. პოლიცმეისტერმა აცნობა, ამ ჟამად სადრესო სტოლის შემოსავალი საკმარისია და სრულიად ჰფარავს ხარჯსაო.

✱ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, დააჩქაროს ქალაქის პოლიციის შესანახ ფულის განაწილება ქალაქსა და ხაზინას შორისო.

✱ იაფ-ფასიან და უფასო სასადილოების გამმართველ საზოგადოებას დ. ა. მანთაშევისამ 200 მანეთი შესწირა.

✱ 6 თებერვალს საჩხერეში ბ-ნ მიხაილოვს წარმოდგენა გაუმართავს. წარმოდგენისაგან აღებულ ფულიდგან 17 მანეთი იქაურ სამკითხველოსთვის შეუწირავს.

✱ ერთობ ცუდად ეპყრობიან ცხენებს ტფილისის ცხენის რკინის გზაზედ. რაც უნდა ძნელი მოსახვევი იყოს, ცხენს მაინც ჩქარა ატარებენ და თუ სწორე გზაა, მაშინ თითქოს განგებ კუს ნაბიჯით მიჰყავთ. ყველაზედ მეტად, რასაკვირველია, გაფრთხილება უნდა ცხენს იქ, სადაც ლიანდაგს ხელ-ახლა ასწორებენ და მიწა ერთიანად ამოთხრილია. ერთი მაგალითის მნახველი გუშინ-წინ გავხდით უნებურად. იქ, სადაც ყოლანოვის ცხენის რკინის გზის ვაგონები შეჩერდება, ცხენს ფეხი ჩაუვარდა ლიანდაგს ქვეშ და წაიქცა. ცხენის ფეხი ლიანდაგს გველივით შემოეხვია და, რასაკვირველია, კიდეც მოსტყდებოდა... მეორე ცხენიც წაიქცა და გაქანებული ვაგონები ცხენებს თავზე შეაჯდა. კარგი იქმნება ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, ვისგანაც ჯერ არს.

## ჩვენებური ამბები

**ქ. ბათომი.** ნათქვამია,—ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო, და ადამიანს ექვსის დღის მუშაობის შემდეგ მაინც უნდა ჰქონდეს ის უფლება, რომ მოისვენოს და დაქანცული ძალ-ღონე მოიკრიბოს, რათა უფრო მხნედ მიეგებოს მეორე დღეს მუშაობას; მაგრამ ამას ზოგიერთები მცირე ყურადღებას აქცევენ. აი, თუნდ ბათომის საყასბოების პატრონები. ერთის დღის მოსვენება არა აქვთ მათს საბრალო მოსამსახურეებს. თითქმის 12 საუფლო დღესასწაულებშიაც-კი დღეში 4—5 სული საქონელი უნდა დაჰკლან და გაამზადონ. დილას 11 საათამდე საყასბოში ხორცი უნდა მოუჰრან მყიდველებს და 12 საათზედ-კი ისევ სასაკლაოსკენ უნდა გასწიონ, რომ მეორე დღეს უხორცოდ არ დარჩნენ ბათუმელები. თითონ ბ-ნა ექიმმა ჩამოაგდო ლაპარაკი, რომ კვირას საქონელს ნუ დავკლავთო, კვირისათვის მოსამსახურენი შევასვენოთო და სამაგიეროდ ხორცი შაბათს გავამზადოთო, მაგრამ გულმტკივნელმა «ხაზეინებმა» სთქვეს,—როგორ შეიძლება ჯერ ხორცი გაფუჭდება, რომ დაგვრჩეს და მერმე თითონ გაფუჭდებიან, უბრალოდ ფულები გაეფლანგებათო. სასურველია, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და კვირა-დღეობით მაინც შეასვენონ. ჯერ მაინც ზამთარი არის და «ხაზეინებს» ხომ ხორცი არ გაუფუჭდებათ.

ნიკო ხვი—ია

—

**დ. თიანეთი.** პირველ იანვრიდგან თიანეთის ბიბლიოთეკამ უკვე თქვენი ჰირი წაიღო. როგორც მოგეხსენებათ, თიანელ ინტელიგენციას სძინავს და კეთილ საქმის გაკეთება მეტ ბარგად მიაჩნია. ყველგან სწავლა-განათლებისათვის ჰზრუნავენ, სახალხო სამკითხველოებს, საკვირაო სკოლებს და სხვას აარსებენ, აქ-კი, დაარსების მაგიერ, გადააარსეს კიდეც. იქნება იფიქროთ, სიღარიბის გამო ვერ შესძლეს სამკითხველოს შენახვაო, მაგრამ ეს აქაური ინტელიგენციის ბრალია. აქ რომ საზოგადოებას გულ-შემატკივარი ვინმე ჰყავდეს, თითო-ოროლა მანეთს შეჰკრეფდა და სამკითხველოს იოლად გამოიყვანდა. დიდად სამწუხარო და სამარცხვინოა თიანეთის მოწინავე საზოგადოებისათვის, რომ ერთ სამკითხველოს ვერ მოუაროს. აქნობამდე, როცა დეპოს საქმე კარგად მიდიოდა, სამკითხველოს საქმეც კარგად იყო, ეხლა-კი, რაც დეპო გაკოტრდა, ბიბლიოთეკაზედაც გული აიყარეს. წიგნები რაც იყო, იმის ნახევარი აღარ არის, ყველა ხელ-მოუწერელად წაღებულია და წიგნის გამტანი არა სჩანს. თუ დეპო არაფერს სარგებლობას არ აძლევს, ბიბლიოთეკისა რა ბრალია?! ურიგო არ იქნება, რომ სამკითხველოს მზრუნველი ბ-ნი ა. თ. მათურელი ამას ყურადებას მიაქცევდეს, როგორც გულ-შემატკივარი; წაღებულ წიგნებს უკან დააბრუნებინებდეს წიგნების გამტანთ, არ მოაკლებდეს თავის მზრუნველობას და სამკითხველოს ფეხზედ წამოაყენებდეს.

კვირას, ამ თვის ცხრას, თიანეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში მღვდელ ვ. გძელიშვილის მიერ გადახდილ იქმნა პარაკლისი, რათა უფალმა გამარჯვება მიანიჭოს რუსეთის მხედრობას იაპონელებთან ბრძოლაში. პარაკლისს დაესწრენ თიანეთის ინტელიგენცია და მოწინავე საზოგადოება.

დათიკო გოჯიაშვილი

—

**გურია.** მართლადაც რომ გურია ძლიერ გაჭირვებულია. ართმელაძე მართალს ამბობს. ამ ხუთი-ექვსის წლის წინად გურია სულ სხვა იყო. ყველაფერით სავსე იყო: პურით, ღვინით და სიმინდით, და ეხლა-კი, რაც იშრომეს საწყლებმა, სულ წყალმა წაიღო, მათი ნამუშევარი, ნათესარი და სარჩო წყალდიდობამ იმსხვერპლა.

აბა დახეთ, როგორი სიჩუმეა, როგორ მოწყენილია დღეს გურია?! მერე რა მიზეზით? ჩვენ თუ არ მოვეხმარეთ, ჩვენს ქვეყანას სხვა ვინ ინაღვლის? ყველამ ხელი შევუწყოთ, ყველამ ყური ვათხოვოთ, ყველამ შემწეობა მივსცეთ, რითაც შეგვეძლება. მოთხოვნილება და გარდასახადი ბევრი აქვს გურიას და შემოსავალი-კი არსაიდანა სჩანს. მაშ რას უყურებთ ნასწავლნო, განათლებულნო გურულნო?! რას უყურებთ ჟურნალ-გაზეთობავ, რედაქციებო?! პირველი რიგი თქვენია. რას უყურებთ სხვა-და-სხვა კუთხეში მოსამსახურენო გურულნო?! ნუ თუ დაგავიწყდათ თქვენი სამშობლო, თქვენი აღმზრდელი მხარე? მოეხმარეთ თქვენს სამშობლოს, საიდნაც აღიზარდეთ და იმის წყალობით ხართ დღეს ქვეყნად, ნუ დაგვივიწყებთ სამშობლო მხარე. მაშ, ვეცადოთ, ძმებო და მოყვასნო, ჩვენს გურიას.

გაჭირებით, თქვენც უთავზედ ცოტაოდენი, თქვენც შემწეობა აღმოუჩინეთ ჩვენს გურიას, ბევრად-ბევრია თქვენზე დამოკიდებული. აი, მოახლოვდა გაზაფხული და საწყლებს სათესლე სიმინდიც არა აქვთ, რომ შეუდგნენ ხვნა-თესვას. მოეხმარეთ მხნედ და ნახავთ, თუ გურია კიდევ ფეხზედ არ დადგეს!!...

გურული ა.

## რუსეთი

**ქ. მერვი.** (იმერ-კასპიის მხარე). ქ. მერვი გაშენებულია კასპიის გაღმა მხრის სამხედრო რკინის გზის მე-787 ვერსზე. მშვენივრად დაგეგმილი განიერი ქუჩები აქვს. ქუჩებზედ ჩამწკრივებულია სახლები და ალვის ხეები. საკმაოდ მოზრდილი ქალაქია. სულ ბანურად არის დახურული სახლები, გარდა ჯარების ყაზარმებისა, რაც ცოტა შნოს უკარგავს ქალაქს. ძვირად შეხვდებით ორ-სართულიან სახლებსაც, რადგანაც ეს მხარე ბამბის სამშობლო ყოფილა, ხალხის უმეტესი ნაწილიც იმის მოყვანას მისდევს და საკმაო ქარხნების რიცხვიც არის აქ. ქ. მერვში-კი ექვსი ქარხანა არის, ოთხი ბამბისა და ორი ზეთისა; ამ ქარხნებში დიდძალი ბამბა ჩიხრიხდება მანქანების შემწეობით და იგზავნება უცხოეთში, ხოლო კურკისაგან ზეთი იხდება. ქარხნები ეკუთვნის: 3 რუსს, 2 სომეხს 1 სართს. ქართველებს კი ამ ქარხნებთან არაფერი საერთო არა აქვთ,—უბრალო მუშა ხალხსაც-კი. აქეთ მხარეს ზამთარი ამ 7—8 წლის წინად სულ არ სცოდნია, მაგრამ ეხლა კი თან და თან შემოსწვევია, წელს მაინც მკაცრი ზამთარი ეწვია ამ მხარეს. ამ მხარეში ტყე ძალიან ძვირია, თითქმის სულ არ არის: შეშად ხმარობენ ერთნაირ რაღაც ხის ფესვებს, რომელიც მინდორში ამოდის პატარა ბუჩქებად; ისე ადვილი ამოსაგლეჯია, როგორც ქართოფილის ბუჩქი. შედარებით თავის სიდიდესთან ამ მცენარეს ერთი ხუთად მსხვილი ფესვი აქვს. ეს ფესვები ამ მხრის შეშაა, რომლის ფასმაც წელს მეტად აიწია, მკაცრი ზამთრის წყალობით. ღირსებით ეს ფესვები ბევრით სჯობია ჩვენს რცხილის შეშას, როგორც სიმხურვალით, აგრედვე გამძლეობითაც. შეშა შემოაქვთ სართ-თექებს აქლემებით და იყიდება საპალნე 3 მ.—3 მ. 50 კ. აქეთა მხრის ვაჭრობა სომხების და სპარსელების ხელშია, მხოლოდ რკინის გზებზე, როგორც ვაჭრობაში, ისე საიჯარო საქმეებში, თუ წინ არა დგანან, უკანასკნელი ადგილი მაინც არ უჭირავს ქართველობას. აგრედვე ქალაქებშიაც შეხვდებით ქართველ მოვაჭრეთ, რომელთაც კარგად მიჰყავთ ვაჭრობის საქმე. საზოგადოდ კარგი სახელი აქვთ დამსახურებული ქართველ მოვაჭრეთ. მერვშიაც არიან ქართველნი მოვაჭრენი, მათ შორის ერთს მაინც ძალიან კარგად აქვს წაყვანილი თავისი საქმე და დიდი ნდობითაც უყურებს საზოგადოება, რადგანაც მისს დაუცხრომელ შრომასთან ცოტადაც მიაჩიათ მისი შეძლება. ამას უჭირავს, თავის სახლებში გამართულ სასტუმროს გარდა, სამხედრო საკრებულო და რკინის გზის საკრებულო. ეს მოვაჭრე გახლავთ ალექსი დიმიტრის ძე ხერუკიძე, ს. ტირძნისის მცხოვრებელი (გორის მაზრაში). მაგრამ ეს მხარე მას იცნობს «იისუსად». საიდგან წარმოსდგა ეს სახელი? აი საიდგან: როდესაც აქეთა მხრის სამხედრო რკინის გზის მუშაობა იყო, ამის სასტუმროში შემოვიდა თურმე კარგად გადაკრული «არტელშჩიკი», რომელსაც დარჩა ფულის ჩანთა. მეორე დღეს ელდა-ნაცემი «არტელშჩიკი» ხან აქეთ ეცა, ხან იქით ფულის საძებნელად, მაგრამ ვისთვის მიემართნა, რომ სად დაკარგა ჩანთა არ ახსოვდა; გავიდა ერთი კვირა და ფული არსად სჩანდა, გადაიწყვიტა იმედი საწყალმა არტელშჩიკმა და განიზრახა თავის მოკვლა. დამკარგავზე ნაკლებ აღარც ალექსი დიმიტრის ძე ეძებდა ფულის პატრონს, მაგრამ ფრთხილად-კი, რადგანაც თვითონაც არ იცოდა ვის დარჩა ჩანთა;ეშინოდა სხვას არავის დაეჩემებინა; როდესაც მთელმა ქალაქმა გაიგო, არტელშჩიკმა 22,000 მანეთი სახელმწიფო ფული დაჰკარგაო და თვითონაც ნახა ჯავრისაგან განახევრებული კაცი, მაშინ დაუძახა სასტუმროში, გადასცა ჩანთა, სადაც ხელუხლებლად აღმოჩნდა 22,000 მანეთი. სიხარულისაგან გულ-აჩუყებულმა არტელშჩიკმა გაშალა ორივე ხელები და ძლივს წარმოსთქვა: «Вы не Алексѣй Димитрьевичъ; Вы Іисусъ! Вы спасли меня»-ო და გადაეხვია. აი, ამ დღიდგან ალექსი დიმიტრის ძეს დაერქვა მეტსახელად «იისუსი», ვითომ იესოვო.

ხოტეველი

## ნარკვევი

«მოსკოვ. ვედომ.» ამბობს ახლანდელ ომის მნიშვნელობისა და რუსეთის მდგომარეობის შესახებ:

„თუ ადამიანს უბედურება რამ შეემთხვა, შეუძლიან ცოტათი მაინც იმით ინუგეშოს თავი, რომ თავის ნამდვილ და ცრუ მეგობრებს გაიცნობს. როგორც მოსალოდნელია, მტერი უფრო მეტი აღმოუჩნდება, ვიდრე მოყვარე, რადგან უბედურ შემთხვევაში ყველა საეჭვო მეგობარი მტერთა ბანაკში გადავა. ეს ბუნებრივი მოვლენაა და ამიტომ ადამიანი მაინცა-და-მაინც ამგვარმა გარემოებამ არ უნდა დააღონოს. მაგრამ მეტად ძნელია და შეუძლებელია ადამიანი იმ აზრს შეურიგდეს, რომ უბედურების დროს მას წიხლს ისეთებიც ჩაჰკრავენ, რომლებსაც უოველთვის მეგობრებად სთვლიდა და რომელთა იმედიც უოველთვის ჰქონდა.

ეს ჩვენი სიტყვები თუმცა კერძო ადამიანის ცხოვრებაზეა ნათქვამი, მაგრამ ერებზედაც ასევე ითქმის.

რუსეთს თავს დაატყდა მეტად ძნელი განსაცდელი. ვგონებთ, არავისთვის საეჭვო არ უნდა იყო, რომ რუსეთს ბრალი არ უდევს დღევანდელ ომის დაწყებაში; ამიტომ იგი თავის თავს უდანაშაულოდ სთვლის და იმედი ჰქონდა, რომ მეგობრებიც არ ჩასთვლიდნენ მას დამნაშავედ; მეგობრების თანაგრძნობა-კი დღეს დიდი ნუგეში იქნებოდა რუსეთისათვის. მაგრამ არის-კი ასეთი თანაგრძნობა?

ჩვენ არას ვამბობთ ინგლისელებზე: მათგან არც არაფერს მოველოდით. ინგლისელები შეურიგებელი მტრები არიან ჩვენი და დღეს ბოროტის სიხარულით უყურებენ ჩვენს განსაცდელს. ეს, როგორც ვსთქვით, გასაკვირველი არ არის, რადგან ინგლისელები არასოდეს არ გვიცხადებდნენ მეგობრობას და წრფელის გულით სწადდათ უოველთვის უოველივე ცუდი ჩვენის ქვეყნისთვის.

უფრო გასაკვირია ჩვენთვის ის მტრობა, რომელსაც ომის დაწყებიდანვე იტალიელები გვიცხადებენ. სულ ექვსი თვე არ გასულა ჯერ, რაც მთელი იტალიური პრესსა მეგობრობასა და სიმპატიას გვიცხადებდა; ორისა თუ სამის სოციალისტურ გაზეთის გარდა, ყველანი სიხარულით მიეგებნენ იტალიაში ხელმწიფე იმპერატორის მისვლას. სადღაა ეხლა ეს მეგობრული გრძნობები? იმის მაგიერ იტალიის მთელი პრესსა ამ ჟამად დაგვცინის, ვითომ დამარცხებას გვიკიჟინებს და ზიზღით გვიხსენიებს. ასე მტრულად მოგვეგება იტალიის ერის უმეტესობა ამ გაჭირვებულ დროს, თუმცა იტალიის მთავრობა კვლავინდებურად «მეგობრულ ურთიერთობას» გვიცხადებს.

როგორც სჩანს, გულწრფელ მეგობრობას გერმანიის მთავრობაც გვიცხადებს; მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ სრულიად სხვარიგად მიეგება ჩვენს უბედურებას გერმანიის ხალხი; უმეტესი ნაწილი გერმანიის ერისა, როგორც მათ გაზეთებიდგან სჩანს, პირდაპირ იაპონიის მხარეზეა და ჩვენს მტერს უცხადებს თანაგრძნობას. მართალია, გერმანელებს მაინცა-და-მაინც არ მოსწონთ იაპონელები, მაგრამ ამ ომში გერმანელებს იაპონელების გამარჯვება და ჩვენი დამარცხება სურთ. გერმანული გაზეთები დარწმუნებულნი არიან, რუსეთის შინაურ ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდებაო, რადგან, უეჭველია, იაპონია დაამარცხებსო. როგორც სევასტოპოლის დამხობამ გამოიწვია რეფორმები, ისე პორტ-არტურის დამხობა გამოიწვევს ლიბერალურ განვითარებასაო.

ასეთსავე მტრობას გვიცხადებენ ავსტრია-უნგრეთის გაზეთებიც. ნამეტურ პოლონელები იჩენენ თავიანთ ჩვეულებრივ სიძულვილს. მაგრამ ეს იმდენად გასაკვირველი არ არის, რამდენადაც ავსტრიელ გერმანელების სიძულვილი გვაოცებს. ამასთან ხომ მაინც მუდამ შეთანხმებით ვმოქმედებთ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე? ან იქნება ავსტრიასაც იმედი აქვს ჩვენის დამხობისა, აპირებს ისარგებლოს შემთხვევით და ბალკანეთის სვე ბედი ჩაიგდოს ხელში?! ტყუილი იმედია!..

მაშ სადღა არიან ჩვენი ერთგული მეგობრები? ოდესღაც ჩვენ მეგობრებად ამერიკელები ითვლებოდნენ; მაგრამ კარგა ხანია ვიცით, რომ ამერიკის მეგობრობა დოლარების რაოდენობით გაიზომება, ამიტომაც სრულიად არ გვაკვირვებს, რომ ამერიკელებიც ჩვენის მტრების ბანაკში გადავიდნენ.

მაგრამ, აი საფრანგეთი. ეს ხომ ჩვენი «მეგობარი და მოკავშირეა». მაშ, საფრანგეთი მაინც ჩვენს მხარეზე უნდა იყოს! ნამდვილად-კი საქმე ასე არ არის. საფრანგეთის ერი ჩვენ თანაგვიგრძნობს, მაგრამ იქაურ პოლიტიკურ დასთა უმეტესობა პარლამენტში სრულიად გულგრილად გვიცქერის და, ალბად, გულში მტრობაც კი აქვს ჩვენი. მარტო ჟორესი რათა ღირს, ეს-კი პირდაპირ თხოულობს საფრანგეთ-რუსეთის კავშირის დარღვევას! მართალია, პრეზიდენტი ლუბე და მინისტრი დელკასე ცდილობენ მეგობრული ურთიერთობა დაიცვან ჩვენთან, მაგრამ ესენი რას გახდებიან, როდესაც პარლამენტის უმეტესობა რუსეთის წინააღმდეგია?!

მაშ სულ მარტონი ვყოფილვართ? სრულიად მეგობრები არა გვყოლია?

არა, გვყავს ერთგულნი და გულ-წრფელი მეგობრებიც: ესენი არიან სლავიანები და, უმთავრესად, ჩეხები. მართალია, ამათი მეგობრობა ბევრს არას შეგვძენს, მაგრამ მეტად გვახარებს, რადგან გულწრფელია...

ასე და ამ რიგად მარტო ჩვენის ძალების იმედი უნდა გვქონიოთ, რადგან „მეგობრებმაც“-კი გვიღალატეს, ხოლო სლავიანთა განუენებული თანაგრძნობა დახმარებას ვერ აღმოგვიჩენს. მაგრამ ეს მარტოობა ჩვენ არ გვაშინებს: იმდენად ძლიერნი ვართ, რომ სხვების დაუხმარებლადაც გავუმკლავდებით ვერაგ მტერს. ამასთან არც იმას დავივიწყებთ, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში გულწრფელ მეგობრებმაც-კი გვიღალატეს».

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბ-ნ «მოცლილის კაცის დღიურის» ავტორს.

«ზნეობის საძირკველი არის მოვალეობა და არა გამორჩომა». მეც შევაწუხებ ფილოსოფოსს კანტს და იმავე სიტყვებით მოგმართავთ, ბ-ნო «მოცლილი კაცის დღიურის» ავტორო! რომ დაფიქრებულიყავით, უეჭველია, არ მომმართავდით ამ სიტყვებით, რადგანაც თქვენ უფრო შეგფერით, ვიდრე მე. «ბეჯითად» გცოდნიათ, როგორც ბრძანებთ, თუ როგორ «მოკრძალებით და წრფელის სიყვარულით» მექცეოდა დრამატიული საზოგადოების გამგეობა, თუ როგორ «ჩავიჩხრიალე ფულები და ალალ ფურიცით მოგვწველე საზოგადოება და კომიტეტი», ეგეთფერი ეს თქვენ «ბეჯითად» გცოდნიათ, სჩანს ძალიან დაახლოვებული ბრძანებულხართ ამ საქმესთან; მაშ რად დაივიწყეთ, ან უფრო, არ მოისურვეთ აგეხსნათ ისიც, თუ რისთვის გამოვედი დასიდგან. მე მგონია, ასეთ შემთხვევაში ყველას ზნეობრივი მოვალეობაა არა მარტო კაცის უსაფუძვლო გამტყუნება, არამედ სიმართლის გამოაშკარავება. საჭირო იყო საზოგადოებას სიმართლე გაეგო. თქვენ კი ყველა ეს მეტად დაინახეთ და გაიძახით: „ნ. ჩხეიძემ გამგეობას უკადრისი წერილი მისწერა, საზოგადოებას წიხლი დააჭირა და სხვაო“.

მე ვთხოულობ: ნამდვილი და არა «სიზმრებიდან» და მიცქმა-მოთქმიდან შედგენილი მიზეზი ჩემი დასიდან გამოსვლისა გამოაქვეყნოთ; გამოაქვეყნოთ ჩემი «უკადრისი» წერილი, აგრეთვე ის, თუ რითი გამოიჩინა «წრფელი სიყვარული» გამგეობამ ჩემდამი! მივიღე, ან როგორც თქვენ ბძანებთ, «ჩავიჩხრიალე» ჩემის შრომის ფული, თუ არა?

რაც შეეხება ჩემს გარეგნულ-შინაგან ღირსება-ნაკლულევანებას, დამეთანხმეთ, ეს საქმეს არ შეეხება და უადგილოა გაზეთში ამაზე ლაპარაკი.

ნინო ჩხეიძე.

### II

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბ. გაბრიელ ივანეს-ძე მეტრეველს, რომელმაც კეთილ ინება და შეაგროვა სადგურ ტიხორეცკაიაში 9 მან. 50 კაპ. ალაგირის ქართულის სკოლისათვის. მადლობას ვუძღვნი შემდეგ პირთ, რომელთაც მეტრეველის თხოვნით სკოლას შემწეობა აღმოუჩინეს:

გ. ი. მეტრეველს 5 მ., ვ. კალანდარიშვილს 1 მ., ვ. ჭეიშვილს 1 მ., ს. ახობაძეს 50 კ., ვ. ბოკერიას 50 კ., ი. გუზავაძეს 50 კ., პ. ნიკურაძეს 50 კ. და ბ. ჟვანიას 50 კ..

ძალიან კარგი იქნება, რომ სხვებმაც ამათს მაგალითს მიჰბაძონ და ცოტაოდენი შემწეობა აღმოუჩინონ ჩვენს მატერიალურად გატანჯულს ქართულ სკოლას.

ალაგირის ქართული სკოლის მასწავლებელი.
გ. რაზმაძე.

## „ივერიის“ ფოსტა

**დ. ტეზარელს** თქვენი ლექსი ,,დალატის'' ავტორს არ დაიბეჭდება.

**ყ. ვ—ძეს.** თქვენი ლექსი ,,ღომი'' არ დაიბეჭდება.

**სიკოს.** თქვენი ხელთ ნაწერი ,,ჩვენებური განათლება'' არ დაიბეჭდება.

**ხ—ვს. ს. რ. შ—ას.** პირველს თხოვნას შევასრულებთ, მეორეს-კი ვერა. მ,ზეზი გაზეთის განცხადებაშია გამორკვეული.

**ბ—ი. ასლთ-ამწყოებს ნ. ი. ხ—იას.** გაზეთი დაგეთმობათ 7 მან. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეგიძლიანთ.

**ქ—ი. ლადო გუბელს.** ჩვენდა სამწუხაროდ, თქვენს თხოვნას ვერ ვასრულებთ. ნუ დაგვემდურებით.

**ფ—ი. ა. ყ—ს.** დიახ, შეიძლება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 თებერვალი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-მაიორის ფლუგისა უმთავრესს შტაბში გაგზავნილი 12 თებერვლის თარიღით: „დღეს, ნაშუაღამევის პირველ საათიდან ოთხის ნახევრამდე, მტერმა კვლავ მოიტანა იერიში პორტ-არტურზე, მაგრამ ყველგან უკუ-ქცეულ იქმნა. დაწვრილებით მალე გაუწყებთ“.

**შანჰაი.** («რეიტერის სააგენტო»). როგორც ისმის, ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ნება მისცა რუსეთის კანონერკა «მანჯურს» დარჩეს შანჰაიში. გემი მაინც მოვალეა საჭე ახსნას და ქვაბი არ გაახუროს ორთქლის მისაცემად.

**ვაშინგტონი.** (იგივე სააგენტო). გემი ცნობა მიიღო, რომ ვითომ იაპონიას ხელშეკრულობა დაუდვია კორეასთან. ამ ხელშეკრულობის ძალით, იაპონია კისრულობს ბუღდავანობას, რომ უზრუნველ ჰყოფ კორეის დამოუკიდებლობას და ხელშეუხებლობასაო.

**ტოკიო.** (იგივე სააგენტო). ფლოტის მოქმდება ზღვაზედ ბრკოლდება უმთავრესად იმიტომ, რომ დიდი უამინდობაა და ღელვა პეჩილიის ყურეში. იქ ამ ჟამად დიდი ნავქრები და ბურუსია.

**რომი.** «პოპოლო რომანო» მსჯელობს რუსეთ-იაპონიის ომის თაობაზედ და ამბობს, რომ იტალიელებმა არ უნდა თანაუგრძნონ იაპონელებს უფრო მეტად, ვიდრე რუსეთსაო. აღმოსავლეთის ამ საქმეში უპრიანია, რუსეთმა მიაღწიოს თავისს საწადელს და თვისის განზრახვის განხორციელებას, ესე იგი დაასახლოს მანჯურიის უდაბური ადგილები და მსოფლიო ვაჭრობას შესწიროს სავალნი გზანი.

**სან-სებასტიანი.** ორი ქვეითი პოლკი გაიგზავნა 11 თებერვალს კანარის კუნძულებზედ.

**სტოკჰოლმი.** რუსეთ-იაპონიის ომის გამო, რეიხსტაგმა გამოაცხადა სამხედრო ნავთსადგურებად კარლკრონი, ფარეზუნდი, ოლითი და სტოკჰოლმი.

**აკვილა.** ძლიერმა მიწის ძვრამ მალიანო-დე-მარსში დიდი ნავნევი ჰქმნა.

**მოსკოვი.** პეტერბურგიდან მოვიდა სწრაფი მატარებელი ხუთის ვაგონით, რომლებიც ახალის წესით თბება ორთქლის ჰაერის შემწეობით.

**კიშინიოვი.** დღეს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე კიშინიოვის მდაბიო მოქალაქეთა დანიელ და იაკობ პეტრესკოერისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ დარბევა და მოკვლა იცკისა და იუდკი კრუპნიკოვებისა და დაჭრა უშა მირსკისა. ორსავე პეტრესკოებს მიესაჯათ კატორგა ოთხის წლის ვადით. სამოქალაქო სარჩელი დაუკმაყოფილებელ იქმნა.

**პორტ-არტური.** (საკუთ. კორესპონდენტისაგან). ღამის პირველი საათი იქნებოდა, 11 თებერვალი რომ უნდა გათანებულიყო, იაპონელები თავგანწირულად ეცადნენ ნავთსადგურის შესავალი შეეკრათ და ამისათვის ოთხი საკომერციო გემი წაიმძღვარეს ორის მხრივ ნავთსადგურისაკენ და უკან ნაღმიანი გემი მიაყოლეს. ეს შენიშნა შესავალში მდგომმა ჯავშნიანმა გემმა «რეტვიზანმა», რომელმაც სწრაფად სროლა დაუწყო. მალე ციხის არტილერიამაც დაიწყო გრიალი. სროლა დილის ხუთ საათამდე გაგრძელდა, შემდეგ-კი თითო-ოროლა სროლა-ღა ისმოდა. იაპონელებს მეცადინეობამ ამაოდ ჩაუარათ. კრეისერები «ბაიანი» და «ნოვიკი» გავიდნენ და გაეკიდნენ. ცნობები არის, რომ ერთი ნაღმიანი გემი დაღუპულა. დილის 9 საათი იქნებოდა, რომ პორტ-არტურს დაუახლოვდა იაპონიის ესკადრა, რომელშიაც მრავალი გემი იყო. «ნოვიკმა» და «ბაიანმა» ბრძანება მიიღეს დაბრუნებულიყვნენ. იაპონიის ესკადრას არ უსროლია და დალნისკენ წავიდა.

**პარიჟი.** გაზეთ «პტი პარიზიენში» დაბეჭდილია ბაასი გერმანიის კანცლერისა და ერთის ფრანგისა. კანცლერს უთქვამს: «სოციალ-დემოკრატებს გარდა, ყველა დასები გერმანიაში თანახმანი არიან, რომ რუსეთთან კეთილ-განწყობილება უნდა ვიქონიოთ. კეთილ-განწყობილება რუსეთთან ძველი ტრადიციაა პრუსიისა და გერმანიისა. იმის თქმა, რომ საზოგადოების აზრი გერმანიაში რუსეთის წინააღმდეგია, შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც არ იცის ჩვენი წარსული და აწმყო. ბიულოვმა შემდეგ თვისი სურვილი გამოსთქვა, რომ რუს-საფრანგეთის კავშირი მომავალშიაც არსებობდეს იმ დრომდე მაინც, ვიდრე აწინდელი ხასიათი ექნება—მშვიდობიანობის დაცვა საერთოდ»

**ბერლინი.** გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დანიშვნა მანჯურიის ლაშქრის უფროსად აქ საბაასოდ გაუხდიათ მწერლობასა და საზოგადოებას და სრულის კმაყოფილებით ეგებებიან ამ ამბავს. მტკიცედა სჯერათ, რომ ამას შემდეგ მტრის დამარცხებას მალე უნდა მოველოდეთო.

**პარიჟი.** საფრანგეთის ლიბერალთა დასმა დეპუტატთა პალატაში გადასდო 500 ფრანკი დაჭრილ რუსთა სასარგებლოდ და ამით სურს დაუმტკიცოს თავისი სიმპატია მოკავშირე რუსეთს.

**ლონდონი.** („რეიტ. სააგ“.). საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანია, რომ მომავალ წელს გააკეთონ ორი სამხედრო გემი, 4 ჯავშნიანი კრეისერი, 14 გამანადგურებელი და 10 წყლის ქვეშ მავალი გემი. გემებზე აპირობენ 4,000 კაცის მომატებას.

**პარიჟი.** პრეზიდენტ ლუბეს მეუღლემ განკარგულება მოახდინა, 500 ფრანკი გადაეცეს ფრანგ-ქალთა საზოგადოებას და 500 ფრანკი დედათა კავშირს, რომელთაც ხელის მოწერა გამართეს დაჭრილ მეომართა სასარგებლოდ.

**მოსკოვი.** მოსკოვის ეკკლესიებმა წითელის ჯვრის სასარგებლოდ 150,000 მანეთი გადასდეს, მონასტრებმა—26,000 მან.—დღეს შორეულ აღმოსავლეთში გაიგზავნა ივერიის კრებულის სასანიტარო რაზმი და 10 ვაგონი თბილი ტანისამოსი.—მოსკოვის საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა შემწეობა აღმოუჩინოს იმათ, რომელთაც შუამდგომლობა აღძრეს მოსკოვ-ბოგოროდსკ-კირჟაჩის რკინის გზის გაყვანის შესახებ.—გენერალ-ადიუტანტმა ალექსეევმა მოსკოვის გუბერნიის საერობო საკრებულოს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა: «შორეულ-აღმოსავლეთის ფლოტთან და მეომრებთან ერთად გულითად გმადლობთ მოსკოვის ერობას მშობლიურ სალამის გამოცხადებისათვის. რუსეთის ხალხის თანაგრძნობა ჩვენ დიდად გვამხნევებს და ჩვენც სიცოცხლეს არ ვზოგავთ, რომ საყვარელ მონარქის სასახელოდ დავიცვათ პატივი და ღირსება ძვირფასის სამშობლოსი. ,,ვარიაგი'' და «კორეეცი» ღვიძლი თავმდებია იმისი, რომ რუსეთის მხედრობის ძალა შეურყეველია და ღმერთი, რომელიც სიმართლის მომხრეა, შეგვეწევა, რომ ღირსეულად დავსაჯოთ ვერაგი მტერი და დავუბრუნოთ რუსეთს სასურველი მშვიდობიანობა».

13 თებერვალი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი რესკრიპტი, ბოძებული გენერალ-ადიუტანტის გენერალ-ოტ-ინფანტერიის კუროპატკინის სახელობაზედ:

«ალექსი ნიკოლოოზის ძევ, 1898 წლიდან ჰმოთავეობთ სამხედრო უწყებას და თქვენდა მონიჭებულის შრომის მოყვარეობითა და დადგრომილობით გულ-მოდგინედ ჰმოღვაწეობდით, რათა განგეხორციელებინათ მრავალი ჩემ-მიერ მოწონებული ცვლილება მხედრობის წარსამატებლად და მის გამგეობის უკეთ მოსაწყობად; ჰმოღვაწეობდით და ჰგუშაგობდით რუსეთის სამხედრო ძალთა საომრად მუდამ მზად-ყოფნას, რაიცა უზრუნველჰყოფდა სახელმწიფოს მშვიდობიანს წინ-მსვლელობას. მოღვაწეობა თქვენი ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო, რომ დაჰკრა ჟამმა, როცა მხვდა წილად მომეწოდებინა ნაწილი ჩემის ქვ ლის მხედრობისა რუსეთის სახელისა და ღირსების დასაცველად, მისის სათვითმპყრობელო უფლებათა შესარჩენად შორეულ აღმოსავლეთში. ვიცი რა თქვენი ბრწყინვალე სამხედრო ნიჭი, სსტრატეგიო მომზადება და შესამჩნევი საომარი გამოცდილება, საკეთილოდ მივიჩნიე თქვენ ჩაგაბაროთ თქვენისავე პასუხის-გებით უფროსობა ჩემის მხედრობისა, რომელმაც გაილაშქრა მანჯურიაში იაპონელთა წინააღმდეგ და ამისათვის განგათავისუფლით სამხედრო მინისტრის მოვალეობისაგან. ღმერთიმც შეგეწევათ თქვენ, რათა ჩემმიერ თქვენდა მონდობილი და თქვენგან თავ-განწირულებით ნაკისრი ყოვლად მძიმე ღვაწლი წარმატებით შეგესრულებინოთ. განშორებისას მსურს დიდი მადლობა გამოგიცხადოთ თქვენის ნათელმოსილის გამრჯელობისათვის ექვსის წლის განმავლობაში ჩემის ძვირფასის მხედრობის სასარგებლოდ და ამიტომ მიბოძებია თქვენთვის ბრილიანტებით მოოჭვილი ორდენი კეთილ-მორწმუნე დიდის მთავრის ალექსანდრე ნეველისა და მიბრძანებია ატაროთ იგი წესისაებრ. გილოცავთ გზას შორეულს აღმოსავლეთს და გავალებთ გადასცეთ ჩემს გულადს მხედრობას ჩემი მეფური სალამი და ჩემი კურთხევა. უფალი იყოს მფარველი და მცველი შენი, ვჰგიებ თქვენდა მუდამ გულ-ლმობიერი».

ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

«და მადლობელი ნიკოლოოზ»

12 თებერვალს 1904 წ. პეტერბურგი.

ვარშავის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ფულლონი დანიშნულ იქმნა პეტერბურგის ქალაქპეტად.

**ვენა.** სამხრეთ სლავიანთა 200-მდე სტუდენტმა მანიფესტაცია გამართა რუსეთის საელჩოსთან იმის გამო, რომ პორტ-არტურზედ თავდასხმის დროს იაპონელები უკუ-ქცეულ იქმნენ.

**ვიქტორია.** იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფმა, მარკიზ იტოს სიძემ, გზად აქ გამოიარა და მიემგზავრება ლონდონს. მისს ლონდონში მისვლას სარჩულად უდევს სესხის აღება სამხედრო საჭიროებათათვის.

**ამსტერდამი.** როგორც იუწყებიან, ბატავიაში ყოველივე მზად ყოფილა განზრახულ ჯარის საომარ ფეხზედ დაყენებისათვის.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. საადმირალოს პირველ ლორდმა სელბორნმა შეკითხვის პასუხად განაცხადა, გენუაში მყოფ ინგლისის კონსულთან აღძრული შუამდგომლობა, რომ ნება დაერთოთ იაპონიის გემებს «ნისსინისა» და «კასუგასთვის» იაპონიის აქენ გამგზავრების დროს აღემართათ ინგლისის დროშაო, დაუყოვნებლივ უარყოფილ იქმნა. სელბორნმა განმარტება წარუდგინა პალატას იმ ორ აფიცერთა შესახებ, რომელნიც იაპონიის მთავრობამ აირჩია ორის კრეისერის უფროსად და, დასასრულ, უარჰყო ის ხმა, რომ ვითომ ამ კრეისერებს ხმელთა-შუა ზღვიდგან გადასვლის დროს ინგლისის სამხედრო გემები მიაცილებდაო.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## პეტერბურგის ბირჟა

10 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,10 |
| ბერლინში 100 მარკაზე | 46.00 |
| პარიჟში 100 ფრანკზე | 37,42½ |
| ლონდონში ჩეკები | 99,45 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | — |
| ბირჟის დისკონტი | 5½—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | — |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 92½ მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 356 ნის.გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 303½ |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 242 |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

## რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოი ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამო 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამ-ჲაბათობით).

**ყარს-ერივანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

**ბ) ბათომიდან გამოდის:**

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

**გ) ბაქოდან:**

**ტფილის-ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 48 წ.

**დ) ქუთაისიდან:**

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ3

**ე) შორაპნიდან:**

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

**ვ) დარკვეთიდან:**

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.


# განცხადებანი

## ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი ისყიდება ზომიერ ფასებით ფ. ავსარქისოვის მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა. ფ. ავსარქისოვს. კატალოგები ეგზავნება მსურველთუფასოთ. (10—4)

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ს. ბ. თოფურიას**

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




**მოითხოვეთ ყველგან ნანდვილი**

**„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (33—6—30)

**მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი**

# —— სტამბა ——

**ექვთიმე ივ. ხელაძის,**

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი ა.

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მ წ ყ ე მ ს“-ზე

და

**რუსულ „П А С Т Ы Р Ь“-ზე**

**XIX**

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 3 მ. | ორივე გამოცემა . 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის დამატებით . . 4 მ. | 6 თვით „მწყემსი“ . 2 მ. |
| რუსული . . 3 მ. | რუსული . . 2 მ. |
| | ორივე გამოცემა . 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ღამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.


Дозволено цензурою Тифлисъ, 13 февраля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе семинарій